

არქივი დაამუშავა და ელექტრონული ვერსია გააკეთა
გვანცა კუპრაშვილმა.

ვახტანგ ბახტაძის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ნახატი ფილმის „ჩვენი კონცერტი“ დამთავრების სამუშაო გეგმა საამქროების მიხედვით. 1959 წ. 8 დეკემბერი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: მულტფილმების წარმოების უფროსი - ვ. კარსანიძე, რეჟისორი-ვ. ბახტაძე. 1 გვ.
2. მულტწარმოების მხატვრების ვ. სარქისოვასა და ს. ტოროსიანის განცხადება კინოსტუდია „ქართული ფილმის“ უფროსის მოადგილის ვ. ქიქოძისადმი, თოჯინური ფილმების ჯგუფის ადმინისტრატორ ხორავასთან მომხდარი კონფლიქტის შესახებ. 1961 წ. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ტოროსიანი, სარქისოვა, მინსიანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
3. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მულტწარმოების ხელმძღვანელის აპოლონ დარსაველიძისა და კომპოზიტორ ნუგზარ ვაწაძის შრომითი ხელშეკრულება, ნახატი ფილმისთვის „ნარცისი“ ორიგინალური მუსიკის დაწერასთან დაკავშირებით. (კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორ გორდელაძის დადებითი რეზოლუციით). 1963 წ. [?] ნაბეჭდი. ხელს აწერენ: დარსაველიძე, ვაწაძე. რუსულ ენაზე. 3 გვ.
4. ვახტანგ ბახტაძის ანკეტა. 1980 წ. 5 ივლისი. ნაბეჭდი. ხელით შევსებული. ვ. ბახტაძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.
5. საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მიერ გაცემული ცნობა ვახტანგ ბახტაძის სახელზე, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ტურისტულ მოგზაურობასთან დაკავშირებით. 1980 წ. 9 ივლისი. ნაბეჭდი. ხელმოწერა არ იკითხება. რუსულ ენაზე. 2 გვ.
6. მოსამზადებელი ნახატი ფილმის „ჩვენი კონცერტი“ სადადგმო -კალენდარული გეგმა. [?] 20 მარტი – 5 აპრილი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: რეჟისორი - ვ. ბახტაძე, მთავარი მხატვარი - ნოვოჟელოვი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

7. ვახტანგ ბახტაძის დახასიათება - რეკომენდაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამგზავრებასთან დაკავშირებით.
უთარილო. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი - რ. ჩხეიძე, პარტმდივანი - ნ. ბოკუჩავა, თავმჯდომარე - ტ. ბილიხოძე. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

მიმართვები

8. მულტფილმების წარმოების უფროსის ვ. კარსანიძის მიმართვა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორის მოადგილე ე. ხაჩიძისადმი, ნახატი ფილმისთვის „ჩვენი კონცერტი“ ხარჯების გაწევასთან დაკავშირებით ოფიციალური ნებართვის შესახებ.
1960 წ. 19 იანვარი. ნაბეჭდი. 1 გვ.
9. მულტწარმოების უფროსის ვ. კარსანიძის მიმართვა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორის მოადგილე ე. ხაჩიძისადმი, ნახატი ფილმის „საყვირის შემდეგ“ რეჟისორ ვახტანგ ბახტაძისთვის ხელფასის გაცემასთან დაკავშირებით.
1960 წ. [?] ივნისი. ნაბეჭდი. ვ. კარსანიძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.
10. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მულტწარმოების ხელმძღვანელის ვ. კარსანიძის მიმართვა საქართველოს კინოქრონიკის დირექტორის მოადგილე ჯიოვეისადმი, რეჟისორ ბახტაძისა და მხატვარ ხუსკივაძის დროის უქონლობის გამო შეკვეთაზე უარის თქმასთან დაკავშირებით.
1961 წ. 26 ივნისი. ნაბეჭდი. ვ. ბახტაძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.
11. მულტწარმოების უფროსის ვ. კარსანიძის მიმართვა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორის მოადგილე ვ. ქიქოძისადმი, ნახატი ფილმის „ფიზიკულტურული ხელმარჯვე ოსტატი“ მხატვარ - ამომხატველთა არასაკმარისი რაოდენობის გამო სცენარის ავტორის ნ. ბენაშვილის მოსკოვში მივლინების ნებართვის შესახებ.
1961 წ. 22 სექტემბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.
12. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიმართვა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრ თ. ბუაჩიძისადმი, მხატვარ - ამომხატველებთან მოლაპარაკების გამო ნ. ბენაშვილის მოსკოვში მივლინების შესახებ.
1961 წ. 23 სექტემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორის მოადგილის ვ. ქიქოძის ხელმოწერით. 1 გვ.
13. მულტწარმოების უფროს ვ. კარსანიძისა და უფროსი რედაქტორის კარლო გოგოძის მიმართვა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორ თ. გორდელაძისადმი, მულტწარმოების შემოქმედებითი საკონსულტაციო საბჭოს წევრთა სხდომაზე ლიტერატურული სცენარის „ნარცისი“ განხილვასთან დაკავშირებით.
1963 წ. 1 აგვისტო. ნაბეჭდი. მულტწარმოების უფროსი რედაქტორის კარლო გოგოძის ხელმოწერით. 1 გვ.

ოქმები

14. მულტწარმოების სხდომის ოქმი, ნახატ ფილმზე „ჩვენი კონცერტი“ გადაღების მიმდინარეობის შესახებ. (თავმჯდომარე კარსანიძე, მდივანი სტარიკოვსკი). 1959 წ. 17 სექტემბერი. ხელნაწერი. სტარიკოვსკის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 7 გვ.
15. ამონაწერი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მულტწარმოების შემოქმედებითი საკონსულტაციო საბჭოს 1963 წლის 16 სექტემბრის სხდომის ოქმიდან. 1963 წ. 16 სექტემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: საბჭოს თავმჯდომარე - ვ. კარსანიძე, მდივანი - კ. გოგოძე. 2 ეგზემპლარი. 1 გვ.
16. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მულტგაერთიანების შემოქმედებითი საკონსულტაციო საბჭოს ოქმი. 1969 წ. 16 დეკემბერი. ნაბეჭდი ხელს აწერენ: თავმჯდომარე - თ. ლორთქიფანიძე, მდივანი - კ. გოგოძე. 4 გვ.

ბრძანებები

17. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორ ა. ძიძიგურის ბრძანება კინოსტუდიისადმი ნახატი ფილმის „ჩვენი კონცერტის“ დროულად ჩაბარების შესახებ. 1959 წ. 8 დეკემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს ვ. კარსანიძე. 1 გვ.
18. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორ ა. ძიძიგურის ბრძანება კინოსტუდიის შემადგენლობისადმი ნახატი ფილმის „ჩვენი კონცერტის“ დანიშნულ ვადაში გამოშვებასთან დაკავშირებით. 1959 წ. [?] დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. 2 გვ.
19. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორ მ. კვესელავას ბრძანება კინოსტუდიის შემადგენლობისადმი ნახტი ფილმის „ხელმარჯვე ოსტატი“ სარეჟისორო სცენარის დამუშავებასთან დაკავშირებით. 1961 წ. 25 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
20. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორ ვ. ქიქოძის ბრძანება კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ხელმძღვანელობისადმი, ნახატი ფილმის „ხელმარჯვე ოსტატი“ წარმოებაში ჩაშვებასთან დაკავშირებით. 1961 წ. 17 მარტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

21. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორ გორდელაძის ბრძანება კინოსტუდიის შემადგენლობისადმი, ნახატი ფილმის „ნარცისი“ მოსამზადებელი პერიოდის ათი დღით გახანგრძლივებასთან დაკავშირებით.
1963 წ. 9 სექტემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის ბრძანება ნახატი ფილმის „სახლობანა“ მოსამზადებელი პერიოდის ჩაშვებასთან დაკავშირებით.
თბილისი. 1973 წ. 30 მაისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.
23. საქართველოს მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის ბრძანება, ნახატი ფილმის „სახლობანა“ წარმოებაში ჩაშვების შესახებ.
1973 წ. 9 აგვისტო. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

შეტყობინებები

24. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორ გორდელაძის შეტყობინება ვ. კარსანიძისადმი, ვ. ბახტაძის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ.
1958 წ. 14 აპრილი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.
25. მულტფილმების დირექტორის ვ. კარსანიძის შეტყობინება კინოსტუდიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ ე. ხაჩიძის, კინოსტუდიის დირექტორის პირველი მოადგილის პ. კობახიძისა და სასცენარო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელ ა. მახარაძისადმი, ნ. ბენაშვილისა და ვ. ბახტაძის ლიტერატურული სცენარის „ჩვენი კონცერტი“ განხილვასთან დაკავშირებით.
1958 წ. 28 ნოემბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.
26. სსრ კულტურის სამინისტროს ფილმების წარმოების სამმართველოს შეტყობინება კინოფიკაციისა და კინოგაქირავების სამმართველოს ხელმძღვანელ ვ. კუზაევისა და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორ ა. ძიძიგურისადმი, ნახატი ფილმის „საყვირის შემდეგ“ განხილვასა და საბჭოთა ეკრანებზე გაშვების შესახებ.
1960 წ. 16 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
27. ვახტანგ ბახტაძის შეტყობინება მულტწარმოების უფროსს ვლადიმერ კარსანიძისადმი, ქაღალდის სახვრეტი მანქანის შეკეთებასთან დაკავშირებით.
1961 წ. 11 ნოემბერი. ავტოგრაფი. კარსანიძის მინაწერით. მელანი. 1 გვ.

დასკვნები

28. დასკვნა ნახატ ფილმზე „ხელმარჯვე ოსტატი“

- 1962 წ. [?]. აპრილი. ნაბეჭდი. უფროსი რედაქტორის კარლო გოგოძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.
29. დასკვნა სარეჟისორო სცენარზე „ნარცისი“.
1963 წ. 15 სექტემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: მულტწარმოების უფროსი - ვ. კარსანიძე, უფროსი რედაქტორი - კ. გოგოძე. 1 გვ.
30. დასკვნა სარეჟისორო სცენარზე „ნარცისი“.
1963 წ. 10 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: მთავარი რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელი - ა. მახარაძე, მულტწარმოების უფროსი რედაქტორი - კ. გოგოძე. 2 ეგზემპლარი. 3 გვ.
31. დასკვნა ნ. ბენაშვილისა და ი. მუსხრანელის ნახატი ფილმის ლიტერატურულ სცენარზე „მოდების მეტამორფოზა“.
1965 წ. 2 ნოემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კინოსტუდიის მთავარი რედაქტორი - ა. ბაქრაძე, მულტწარმოების უფროსი რედაქტორი-კარლო გოგოძე, ნ. ამაშუკელი. 3 ეგზემპლარი. 2 გვ.
32. დასკვნა ანიმაციურ ფილმზე „ნარცისი“.
1965 წ. [?]. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: მთავარი რედაქტორი - ა. ბაქრაძე, რედაქტორი - კარლო გოგოძე. ბეჭედდასმული. 1 გვ.
33. დასკვნა ნახატ ფილმზე „ნარცისი“.
1965 წ. [?]. ნაბეჭდი. უფროსი რედაქტორ კარლო გოგოძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 2 ეგზემპლარი. 2 გვ.
34. დასკვნა ერთნაწილიან თოჯინური ფილმის სცენარზე „გოგონა და ბატი“.
1969 წ. 15 დეკემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კინოსტუდიის მთავარი რედაქტორი - გ. დვალიშვილი, მულტწარმოების უფროსი რედაქტორი - კარლო გოგოძე. 2 ეგზემპლარი. 1 გვ.
35. დასკვნა ნახატ ფილმზე „ნარცისი“
უთარილო. ნაბეჭდი. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორ - ტ. გორდელაძის ხელმოწერით. 2 გვ.
36. დასკვნა ნახატი ფილმის „ნარცისი“ ლიბრეტოზე.
უთარილო. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: მულტწარმოების ხელმძღვანელი - ვ. კარსანიძე, უფროსი რედაქტორი - კ. გოგოძე. რუსულ ენაზე. 2 გვ.
37. დასკვნა ნახატი ფილმის „ნარცისი“ ლიტერატურულ სცენარზე.
უთარილო. ნაბეჭდი. კარლო გოგოძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

შემოქმედება

38. ვახტანგ ბახტაძის ექსპლიკაცია ნახატი ფილმის „ნარცისი“ შესახებ.
1963 წ. 9 ოქტომბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
39. ლიტერატურული სცენარი ნახატი ფილმისთვის „სამი მეზობელი“.
1965 წ. 9 ოქტომბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 7 გვ.

მოსვენება

40. ნ. ბენაშვილის მოსვენება ნახატი ფილმის „ახალი მოვარე“ შესახებ. (რეჟ - ვ. ბახტაძე)
უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
41. ნ. ბენაშვილის მოსვენება „მულტიპლიკაციების პლენუმი“ სსსრ კინემატოგრაფისტთა საბჭოს
მულტიპლიკაციური კინოს საერთაშორისო კომისიის სხდომის მუშაობის შესახებ.
უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

სტატიები

42. ლ. ხვედელიძის სტატია ნახატი ფილმების „ო მოდა მოდა“ და „ყველაფერი მოდის შესახებ“.
უთარილო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. ერთვის ნაბეჭდი. 4 გვ.
43. უცნობი პირის სტატია ვახტანგ ბახტაძის შემოქმედების შესახებ.
პირი: ნ. ბენაშვილი, ლუის ფერნანდესი.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

მოსაწვევი ბარათი

44. სსრკ სახელმწიფო ფილმფონდის მიერ კინოთეატრში „კოსმოსი“ მოწყობილი ვახტანგ
ბახტაძის შემოქმედებითი საღამოს მოსაწვევი ბარათი.
1971 წ. 29 მარტი. სტამბური. ნაბეჭდი კარლო გოგოიძის ხელმოწერით და მინაწერით. 3
გვ. ზემპლარი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

დეპეშები

45. კინოსტუდიის დირექტორის ძიძიგურის დეპეშა მოსკოვის „საიუმულტფილმის“ სტუდიის დირექტორ კოზლოვისადმი, ვახტანგ ბახტაძის საშუალებით მულტწარმოებისთვის საჭირო მასალის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1960 წ. 19 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.
46. კინოსტუდიის დირექტორის ძიძიგურის დეპეშა ბახტაძისადმი, რაჩუკის საშუალებით მულტწარმოებისთვის სამუშაო მასალის გაგზავნის შესახებ.
1960 წ. 19 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

სარეკლამო ფურცელი

47. ნახატი ფილმის „ხელმარჯვე ოსტატი“ სარეკლამო ფურცელი.
უთარიდო. სტამბური. 1 ც.